№ 2720
შაბათი,
8 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2720
შაბათი,
8 იანვარი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“ [illegible] ტელეფონი № 37

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წელიწადი მეათე სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.	ფასი გაზეთისა გაგზავნით წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.	საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.	ფასი ჟურნალისა გაგზავნით ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“	საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

უფასოდ გაიგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ ავალიშვილის** მიერ და შედარებულია **გაარდის** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ

ჟაზგების ნაჭერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის რიცხვში)

ხუთშაბათს, 13 იანვარს **ბენეფისი** ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ახალი პიესა**

I
ჩვენი ნაცნობები
სცენები 1 მოქ. თხზ. კ. დოდაშვილისა.

II
ცოლი-უღელის მწეველი
დრამა 4 მოქმ. და 5 სურათ. გადმოკ. ა. ყაზბეგის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

მორიგი რეჟისორი: **ვ. აბაშიძე.**

მზადდება „რუი ბლაზი“, „მეზობლები“, „ჭრიჭინა“, „სამშობლოს ბურჯი“ და სხვა.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

შაბათს, 8 იანვარს, 1905 წელს, წარმოდგენილი იქნება:

„მანდარინის შვილნი“, „ალეკო“ და საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ვიკშემსკაია, დონსკაია, მიხაილოვა, შიხუტსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი. კაპელმეისტერი ეიხენვალდი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

9 იანვარს „რუსლან და ლიუდმილა“.

გამგე ი. ა. გეცევიჩი.

კვირას, ამ წლის იანვრის 9, ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზე, დანიშნულია პირველი საგანგებო კრება ტფილისის **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა** შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი;

2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი;

3) დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა. (5—3)

„ნაკადული“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

რადგან „ამხანაგობის“ ცინკოგრაფიამ ტფილისში საკმაო ცინკი ვერ იშოვა ამ დღეებში, იანვრის ნომრების დაბეჭდვა და გამოსვლა დაგვიანდა.

(1—ყ.—1) „ნაკადული“-ს რედაქცია.

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—36)

ექიმ
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—9)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—26)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—16)

ძ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიაო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—10).

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—$6^1/_2$ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—16)

ექიმი
გ. ა. ზედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, გენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—16)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დიჲნისა № 12 „კრუჟოკის“ გვერდით. (—6.—17)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—32).

ტფილისში
კბილის ექიმი
დავით ს [illegible] ქინაშვილი

გადავიდა ვორონცოვის ქუჩაზე წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 იანვარი.

პორტ-არტური, 5 იანვარი. ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლი“ 50 მეტრის სიღრმეზეა ჩაძირული. „რეტვიზანი“ და „პობედა“ ძლიერაა დაზიანებული და ბრძოლისათვის სრულებით აღარ გამოდგება. „პერესვეტ“-ი მსუბუქადაა დაზიანებული. ყველაზე ნაკლებად დაზიანდა ჯავშნიანი გემი „პოლტავა“. უკანასკნელი ორი გემის ზღვიდან ამოღება შესაძლებელია, აგრეთვე კრეისერების—„პალადა“-სი და „ბაიანი“-სა.

ვაშინგტონი, 4 იანვარი. სახელმწიფო მდივანმა გეიმ მიანდო პეკინში ამერიკის რწმუნებულს შეკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა საბუთი ჰქონდა რუსეთს გამოეცხადებია, ჩინეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვიაო. ვაშინგტონს მყოფი გაზ „ვორლდ“-ის კორესპონდენტი ირწმუნება, გეი მიმართავს რუსეთის მთავრობას ნოტით, რომელშიაც გამოაცხადებს, ჩინეთი ყოველ ღონისძიებას ხმარობს ნეიტრალიტეტის დასაცველადაო. გეის აზრით, ჩინეთს განზრახ არ დაურღვევია ნეიტრალიტეტი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 5 იანვარს არ მოსულა.

კრონშტადტი. ადმირალი ბირილევი დღეს ლიბავაში წავიდა გემების დასათვალიერებლად.

პარიზი, (საკუთ. კორესპ.). აქ ეშინიანთ, რომ იაპონელებმა ჩინელები არ შეიარაღონ, რადგან ჩინელები ირწმუნებიან, უფლება გვაქვს იაპონელი ინსტრუქტორები ვიყოლიოთო.—დიპლომატებთან საუბრიდან სჩანს, რომ გულის ინციდენტი დიდხანს გაჭიანურდება.

ლონდონი. გულელი მეთევზეები, რომლებიც მოწმეებად წარუდგებიან გამომძიებელ კომისიას პარიზში, და რამდენიმე სახელმწიფო მოხელე ლონდონიდან პარიზში წავიდნენ.

ვაშინგტონი. რუსეთმა ამერიკაში 90 ათასი ტონა რკინის გზების მასალა შეუკვეთა ფირმებს, იმ პირობით, რომ ეს მასალა ვლადივოსტოკში ჩააბარონ.

ლონდონი. დიდი სენსაცია მოახდინა დღეს ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოების 16 დიდის გემის დაზღვევამ. დაზღვევის პირობები იმნაირია, რომ 15 გემს სიარული ინგლისის ყოველ პორტამდე შეუძლიან; აღმოსავლეთისაკენ მხოლოდ კოლომბოდე შეუძლიანთ სიარული და მერე ისევ ევროპას უნდა დაბრუნდნენ; მხოლოდ ერთ გემს ეძლევა ნება ბატავიამდე სიარულისა. ყოველ შემთხვევაში გემები მხოლოდ ომიანობის ხიფათისაგან იზღვევა და მცირე პრემია ეძლევა—20 შილინგი ასზე მთელ მგზავრობის დროს. ყოველი გემი 100 ათას გირვანქა სტერლინგადაა დაფასებული, მაგრამ მით მაინც არც ერთი გემი არაა 50 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტად დაზღვეული. ყოველი გემი ბევრ ქვა-ნახშირს დაუდებს რომელსამე პორტში ცეილონის დასავლეთით. იმ მიზეზს, თუ გემები რატომ ცეილონს იქით აღარ მიდიან, სხვა-და-სხვა ნაირად ჰხსნიან.

პარიზი. კაპიტან დობროტვორსკის ესკადრის ნაწილმა 5 იანვარს დილით პერიმს ახლო გაიარა და ჯიბუტისაკენ გაემართა.

ტოკიო. ოფიციალურად. რუსებს 1 იანვარს ბრძოლაში სანშახეს ახლო ნიუჩუანის დასავლეთით 300 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. იაპონელებმა დიდ-ძალი იარაღი ჩაიგდეს ხელში.—იაპონელები პორტ-არტურში ნაღმებსა და ჩაძირულ გემებს იღებენ. პორტ-არტურში 2 ათასი გამოცდილი მუშა მოვიდა დანგრეულ დოკების ასაშენებლად.

ტოკიო. კორეის მთავრობა იხილავს იაპონელ საფინანსო მრჩეველ მეგატას მიერ შედგენილ კანონს ფულის საქმის რეფორმის შესახებ.—გენერალ ხაზეგავას რჩევით, გადაწყვიტეს, კორეის არმია 10 ბატალიონამდე შემცირდეს; ამით ხარჯი $2^1/_2$ გირვანქა სტერლინგით შემოკლდება.—დიდ რეფორმას აპირობენ გზების საქმეში.

ტოკიო. პორტ-არტურელი ტყვე რუსები იაპონიაში დააბინავეს. პორტ-არტურის კაპიტულიაციის შემდეგ 12 ათასი რუსი დიდ მხნეობას იჩენს მდ. შახეზე, 20 ათასი რუსი სიენჩენს ახლო იმყოფება და 3 ათასი ხეიან-ტუნგევას მხარეს. რუსების უმთავრესი ფრონტი მდინარე შახეზეა, მარცხენა ფრთა აღმოსავლეთისაკენ დგას. მთელ ფრონტზე 270 ათასი კაცი დგას.

ვაშინგტონი. ადმირალმა დიუიმ ურჩია რუზველტს, ჩინეთის ზღვაში ამერიკის ფლოტს კიდევ ორი ჯავშნიანი გემი მიუმატეო.

ნაგასაკი. ერთი უმაღლესი რუსის მეზღვაური ამბობს, პორტ-არტურში ყველა ჯავშნიან გემის წყალ-ქვემოთი ნაწილები კაპიტულიაციამდე სულ დავანგრიეთო. 23 ნაღმიან გემიდან რუსებს ბოლოს 6-ღა დარჩათ.—გენ. სტესელი ეხლა სულ მორჩა. თავში მცირე ჭრილობა აქვს.

შანხაი. ინგლისის ქვა-ნახშირის მზიდველი გემი „პოიდერზამ“-ი, ვლადივოსტოკს მიმავალი, ვუზუნში მოვიდა. მეზღვაურები უარს ამბობენ, გზას ველარ განვაგრძობთ, შიშია, ვაი თუ იაპონელებმა დაგვიჭირონო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 იანვარი

სახეტუნი, 5 იანვარი. მანჯურიის მეორე არმიაში ცვლილება არაფერი მომხდარა. ჩვენი ყაზახთა რაზმები, რომლებიც სოფ. ლიდიტუნისა და ცჟენმანტუნისაკენ წავიდნენ, ამ სოფლებში ვერ შევიდნენ, რადგანაც იაპონელებს სადარაჯოები აქვთ გამართული და ერთობ ფრთხილად იცავენ თავს. ჩვენი მოხალისეები შეეჯახნენ იაპონელებს მარჯვენა ფრთაზე სოფ. პაიმანძთან. ამ ადგილას ღამით იაპონელები ეცადნენ პატარ-პატარა რაზმებით გაერღვიათ ჩვენი სადარაჯო რაზმების წრე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. მთელ დღეს მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლა იყო ორივე მხრით. დღეს სადგურ სიატოჩ-სუიატუნზე მოიყვანეს დაჭრილები მიშჩენკოს რაზმებიდან, რომლებიც მუკდენში იგზავნებიან. მზიანი დარი დგას. ყინავს. ღამე ძლიერ რთვილავს. დილით ნისლია.

ჩიფუ, 4 იანვარი. მთავარ სარდალმა მოსცა ბრძანება, რომლითაც აცნობა ჯარს, რომ ჩინელები ამ მოკლე ხანში ახალ წელიწადს იდღესასწაულებენო.

ვლადივოსტოკი, 4 იანვარი. მოვიდა ახლად დანიშნული ციხის დაცვის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ანდრეევი. სადგურზე მიეგებნენ ჯარების უფროსები, მოქალაქენი, საპატიო დარაჯები, ხმელეთისა და საზღვაო მოხელეთაგან შემდგარი.

ლონდონი, 4 იანვარი. იაპონიამ, რომელსაც პრესის მეოხებით უნდოდა შეეტყო ევროპის აზრი 203 მეტრიან გორის აღების შემდეგ ზავის ჩამოგდების პირობების შესახებ, მოითხოვა დაეთმოთ მისთვის სახალინი. პორტ-არტურის აღების შემდეგ იაპონიამ გამოაცხადა, რომ ის დაკმაყოფილდება კონტრიბუციით მხოლოთ 100 მილიონ გირვანქა სტერლინგით. გაზეთი „ვესტმინსტერ“-ი ამისთანა მოთხოვნილებას დიდ შეცდომად სთვლის იაპონიის მხრითით. გაზეთის აზრით, რუსეთი უფრო ხალისით დახარჯავს ამ ფულს ომის გასაგრძობად, ვიდრე იაპონიისათვის ხარკის მისაცემად. ამასთან სხვა სახელმწიფოებიც წინააღმდეგნი იქნებიან, შიში ექნებათ, რომ იაპონია ომის გათავების შემდეგ, შორეულ აღმოსავლეთში ამ ფულს იმათ უფლებების მოსასპობლად მოიხმარსო.

ნაგასაკი, 4 იანვარი. აფიცრებთან ლაპარაკის შემდეგ გამოირკვა, რომ პორტ-არტურის დათმობის დროს ლიაოტეშანში საომარი მასალა აღარ ჰქონიათ; კონტრ-ნაღმიანმა გემებმა, რომელნიც ჩიფუში წავიდნენ, წაიღეს ყველა საზღვაო და საპოლკო დროშები. ბოლო დროს სურავანდი საშინლად მძვინვარებდა. ჯარი სრულიად დაუძლურდა. კონდრატენკოს სიკვდილმა უკანასკნელი და საშინელი ელდა დასცა ყველას. ციხის დამცველთა სულის ჩამდგმელი ფოკი იყო. ბევრი აფიცერი ჩივის, რომ სტესელს ერთობ დიდ-ხანს ჰქონდა იმედი უკეთესი პირობებით დაეთმო პორტ-არტური და ამისათვის გზავნიდა ციხიდან ჯარს მტერთან თავგანწირულ საბრძოლველად.

ტოკიო, 5 იანვარი. ხმა დადის, რომ რუსის რაზმებს, რომლებიც თავს ესხმიან დროთი-დრო იაპონელებს ზურგიდან, ჩინელთა გაწვრთნილი ჯარი ახლდაო. იაპონელები ამზადებენ ბინას 35 ათას ტყვესათვის: 5-ათასისათვის—ტანჩახდში, 2 ათასისათვის—გამატერში, დანარჩენებისათვის სხვა-და-სხვა ქალაქებში,—ჯგუფ-ჯგუფებად 4000 კაცამდე („რეიტერი“).

ვაშინგტონი, 5 იანვარი. გეიმ მიიღო ჩინეთის ელჩი ლიანგ-ჩენგი. ელჩმა გადასცა გეის, რომ ჩემი მთავრობისაგან დეპეშა მივიღე, რომლითაც დაწვრილებით ამბავს მთხოვენო. კასსინიმ განაცხადა, რუსეთს საბუთი აქვს იმის დამამტკიცებელი, რომ ჩინეთმა დაარღვია ნეიტრალიტეტი. თუ ამის შემდეგ საქმე ასე წავიდა, მაშინ რუსეთი თავის ინტერესების დაგვარად მოიქცევაო.

კრონშტადტი. 5 იანვარი. ბირილევი წავიდა ლიბავაში სამხედრო ნავთსადგურში გემებზე მუშაობის დასათვალიერებლად.

პერიმი, 5 იანვარი. რუსის ესკადრამ, რომელიც 6 გემისაგან შესდგებოდა, ჯიბუტისაკენ გაიარა.

პორტ-არტური, 4 იანვარი. რუსის გემების მდგომარეობა ამგვარია: „სევასტოპოლ“-ი 150 ფუტზე ჩაიძირა, უვარგისია, „რეტვიზან“-ის წყალქვეშა ნაწილი დაზიანებულია, „პობედა“ და „პერესვეტ“-ი ოდნავ დაზიანებულია ქვედა ნაწილში, მილები გაფუჭებულია, ზარბაზნის ადგილები განადგურებულია. „პერესვეტ“-ი და „პოლტავა“, „პალადა“ და „ბაიან“-ი შეიძლება შეკეთდეს, გემთ საშენებელი რომ იყოს.

6 იანვარი

ტოკიო, 5 იანვარი („რეიტერი“). გუშინ ტუშიმას სრუტეში იაპონელებმა შეიპყრეს ინგლისელთა გემი „ბაუტრეი“, რომელიც, სურსათითა და გემის საშენებელ მასალით დატვირთული, ვლადივოსტოკს მიდიოდა. ეს გემი იაპონელებმა სასებოს წაიყვანეს. ხმა დადის, სასებოში იაპონელებმა ერთი სხვა შეპყრობილი გემიც წაიყვანესო.

ხუანშანი, 5 იანვარი, 5 საათი, 10 წ. დღეს ჯარის უფროსმა მღვდელმა მთავარსარდლისა, შტაბის უფროსისა და სხვა აფიცრების თანადასწრებით, გადაიხადა პანაშვიდი პორტ-არტურში დაღუპულ მეომართა სულის მოსახსენებლად. 3 იანვარს პოზიციებზე თოფის სროლა ასტყდა. იაპონელებმა ერთ გორაკიდან ტყვია დაუშინეს სოფელ პიდავანტს. რუსებმაც პასუხი გასცეს. იმავე დღეს იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს სოფელ ტისინტუნს. 3 იანვარს ესროლეს სოფელ ლიოანტუნს. რუსები თავის მხრივ ესროდნენ გორაკს სოფელ კუდიაზის ახლობლად.

ლონდონი, 6 იანვარი. რუსეთი ჩინეთს აბრალებს ნეიტრალიტეტის დარღვევას. სხვათა შორის, ეს იმითაც გამოიხატა, რომ ჩინეთს საომარი მასალა და სურსათი გადააქვს შანხაი-გუან-ნიუჩუანის რკინის გზით. ამას გარდა იაპონელები იშველიებენ ჩინელ სალდათებს. იაპონია თავისით უთუოდ იმ ბრალს დასდებს რუსეთს, რომ ჩინეთის ნეიტრალიტეტს არ იცავსო.—აქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია 16 სავაჭრო გემის დაზღვევამ ომიანობის დროის განსაცდელისაგან. დასაზღვევი პრემია მეტად პატარაა. ყველა გემი გაიგზავნება ცეილონის დასავლეთით სხვა და-სხვა ადგილას. ფიქრობენ, რომ ეს გემები ნახშირს მიაწვდიან უკან დაბრუნებულ ბალტიის ესკადრას.

ტოკიო, 6 იანვარი („ტაიმსი“). კორეის მთავრობამ გადასწყვიტა აკრძალოს ხმარება ნიკელის ფულისა, იმის გარდა, რომელიც გამოსცა კორეის საერო ზარაფხანამ. ლაპარაკია ფულის სისტემის გაუმჯობესების, ჯარის შემცირების, გზების შეკეთებისა და იაპონელ მრჩეველთა მონაწილეობის შესახებ.

სეული, 4 იანვარი („დეილი ტელეგრაფი“). მალე დაიწყება მიმოსვლა ფუზანის რკინის გზის სინამპო-მოზამპოს შტოზე.—იაპონელები ამბობენ, ვლადივოსტოკის ესკადრის შიში აღარ არისო. ხელ-ახლა დაიწყო გემების მიმოსვლა იაპონიასა და გენზანს შუა. აქ მიმოსვლა შარშან აპრილს შესწყდა.

ვაშინგტონი, 4 იანვარი. გეიმ აცნობა რუსეთის ელჩს კასსინის, რომ ამერიკის მთავრობა მეგობრულად გამოელაპარაკა ჩინეთს ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, ამასთან მთავრობა დარწმუნებულია, რომ თვით რუსეთიც დაიცავს ჩინეთის ნეიტრალიტეტსაო. გეიმ ამბავი მიიღო ჩინეთის ელჩისაგან, რომ ჩინეთს განზრახვა აქვს დაარღვიოს რუსის ნოტაში აღნიშნული ბრალდებანიო. ამერიკის ოფიციალურ წრეებში ის აზრი ტრიალებს, რომ სახელმწიფოებმა ერთად უნდა იმოქმედონ, რადგან ჩინეთში მოძრაობაა უცხოელთა წინააღმდეგაო,

პეტერბურგი, 5 იანვარი. უცხოეთის პრესსაში ხმა დააგდეს, ვითომ რუსებს ლიაოხეს დასავლეთით, ჩინეთის ტერიტორიით, სამხრეთისკენ ჯარი გაეგზავნოთ და ამით ნეიტრალიტეტი დაერღვიოთ. ამ ამბის გამო მეტი არ იქნება, მოვიყვანოთ შემდეგი: ომის დაწყებისას ლაპარაკი ჩამოვარდა ჩინეთის ნეიტრალიტეტზე. რუსეთი შეუერთდა სახელმწიფოთა შეთანხმებას ამ საკითხის გამო; მაგრამ თან დაუმატა, ჩინეთის ნეიტრალიტეტს დავიცავ იმ დრომდე, ვიდრე ამ ნეიტრალიტეტს დაიცავენ იაპონია და თვით ჩინეთიო. ამას გარდა სანეიტრალო მიწა-წყლიდან გამოკლებულ უნდა იქმნას ის ადგილი, რომელიც მდინარე ლიაოხესა და ინკოუ-სინმინტინის რკინის გზის შუაა, აგრეთვე ამ გზის დასავლეთით და ლიაოხეს ჩრდილოეთით მდებარეობსო.—ომის დაწყებისავე რუსეთმა სთხოვა ტოკიოში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენელს დაეხმაროს რუსტყვეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. იაპონიაში მყოფი საფრანგეთის აგენტები ჰკრებდნენ ცნობებს ჩვენ ტყვე თანამემამულეთა შესახებ და უთუოდ შემდეგშიც იზრუნავენ ტყვეთა ბედის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თვით ტყვეებმა გამოაქვეყნეს სხვა-და-სხვა ამბები. საფრანგეთის მთავრობამ უკვე მიაქცია შესაფერი ყურადღება ამ ამბებს.

პეტერბურგი, 5 იანვარი. „რეშიტელნი“-ს უფროსს როშჩაკოვსკის ებოძა სტანისლავა მეორე ხარისხისა.

ბერლინი, 6 იანვარი. „ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან, რომ პორტ-არტურში ჩავიდა 2000 ნასწავლი მუშა დოკების შესაკეთებლადაო. იაპონელები სიმაგრეების შეკეთებასაც შესდგომიან.

სახეტუნი, 6 იანვარი, დილის 10 საათ. 15 წ. 4 იანვრის ღამეს ჩვენმა რაზმმა მარჯვენა ფრთაზე დაიპყრა სოფელი სანტაიძი და განდევნა იქიდან იაპონელთა დარაჯნი. იქვე ჩვენებმა დაიჭირეს სოფელი ტუტაიძი, რომელსაც იაპონელებმა თავი მიანებეს. ჩვენებმა ჰაეროსტატიდან შენიშნეს, რომ იაპონელები, ჩვენების თვალის ასახვევად, იმ ადგილას, სადაც ჰაეროსტატებს დაიანახავენ, დიდ ცეცხლებს ანთებენ და იქაურობას კომლით ავსებენ. უქარო ამინდში კვამლი მიდამოს ეფინება და არაფრის დანახვა აღარ შეიძლება.

სახალინი, 6 იანვარი. აქ ძალიან ვრცელდება ინფლუენცია, რომლისგანაც მოკვდა ალექსანდროვსკის პოსტის კომენდანტი კაპიტანი შოლოცინი. რაც პორტ-არტურის აღების ამბავი მოვიდა, მცხოვრებნი დაღონდნენ.

ჩანსიამუტუნი, 6 იანვარი. სიანმენტინის ჩრდილოეთით 20 ვერსის მანძილზე, იაპონიის ჯარის მოშორებით, 3 იანვარს შეიპყრეს იაპონელთა მზვერავი რაზმი, რომელიც ხუთის კაცისაგან შესდგებოდა. შეტაკების დროს ჩვენებმა ოთხი იაპონელი მოჰკლეს, ხოლო მეხუთე, უმცროსი აფიცერი სათადარიგო ჯარისა, ტყვედ წამოიყვანეს.

იოკოჰამა, 6 იანვარი („რეიტერი“). დღეს გაასამართლეს ერთი პორტუგალელი, ინგლისის ქვეშევრდომი, რომელიც იაპონიაში სცხოვრობდა და რომელსაც სამხედრო საიდუმლოს გაცემა ჰბრალდებოდა. მოწმეების გამოკითხვით გამოირკვა, რომ ბრალდებული შარშან პორტ-არტურსა და ტიანძინში იყო, მიიღო გენერლის ოგოროდნიკოვისაგან 1000 იენი და შიფრი ცნობების გადასაცემად. შარშან ოქტომბერში ბრალდებულმა იოკოჰამიდან გაუგზავნა რუსებს დაწვრილებით ცნობები ჯარის გაგზავნისა, რაოდენობა და ადგილის შესახებ, მაგრამ ეს წერილი ნაგასაკში დაიჭირეს. განაჩენი გადაიდო 11 იანვრისათვის.

ლონდონი, 6 იანვარი. თუმცა აქ საზოგადოთ დარწმუნებულნი არიან იაპონიის გამარჯვებაში, რუსეთის კარგად მცნობი პირები სხვა აზრის არიან. დღეს კორესპონდენტმა ინახულა რუსეთის ცნობილი მცოდნე მაკენზი უოლლესი, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ომი ორს წელიწადს გაგრძელდება; რუსები, ალბად, ხარბინისაკენ დაიხევენ ძლიერ პოზიციებზე, სადაც დარჩებიან მანამდე, სანამ ციმბირის რკინის გზა გაუმჯობესდება და უამრავ ჯარს მოიყვანს ადგილზე. რაც შეეხება სახელმწიფო ფინანსებს, მისი წყაროები რუსეთში მეტია, ვიდრე იაპონიაში. ეს წყაროები შეძლებას აძლევენ რუსეთს განაგრძოს ომი. უოლლესმა სთქვა, რომ თავის წიგნის ახალ გამოცემაში იმ მასალების ძალით, რომელიც შეუკრებია უკანასკნელად რუსეთში ყოფნის დროს, რუსეთის მდგომარეობას უკეთესად ხატავს. უოლლესის აზრით, გლეხის მეურნეობა გაუმჯობესდა—უკეთ ამუშავებს მიწას და სამეურნეო იარაღიც უფრო გავრცელებულია.

(ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ხუანშანიდან: (მუკდენს ახლოა) ხმა დადის, რომ დეკემბრის დამდეგს მარშალი ოიამა ინკოუში წავიდა იქ მომავალ ჯარის დასახვედრადა და დასათვალიერებლადაო. ინკოუდან მუკდენში მოსული ჩინელები ამბობენ, მარშალი ოიამა ჯერ კიდევ ინკოუშიაო. იაპონელებს ლიუკიუს კუნძულებიდანაც (ფორმოზას ზემოდაა) მოსდით მაშველი ჯარი. სულ 50 ათას კაცი უნდა მოუვიდეთო. მაშველი ჯარი დარაზმული მოდის თავის არტილერიით. შეიძლება, რომ მაშველ ჯარის მოსვლის შემდეგ იაპონელებმა წინ გამოილაშქრონ. ზოგიერთ ფაქტიდანა სჩანს, რომ იაპონელები რკინის გზის აღმოსავლეთით უომიტონამდე ჯარსა ჰკრებენო. ამბობენ, იქ დიდძალი ჯარია თავ-მოყრილიო. ფრთებზე-კი იაპონელებმა თითქო შეასუსტეს ჯარი. ბოლოს დროს იაპონიის არმიას სხვანაირი პლატფორმები, ალბად ავტომობილები, დაურიგეს, ჯავშნით შემოსილი და ტყვიის მტყორცნელებით შეიარაღებული: თითო პლატფორმაზე 6 კაცია. იაპონელები დიდძალ მავთულს, საფქვავ ქვებს ჰყიდულობენ, ალბად, თავიანთ პოზიციების გასამაგრებლად. ჰყიდულობენ აგრეთვე ქილებს ფუგასებისათვის (ნაღმებისათვის). ბოლოს დროს იაპონელები ბეჯითად ასწავლიან და ავარჯიშებენ ჯარსა.

პორტ-არტური. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: ტოკიოდან იუწყებიან, ვითომ იაპონელების დავლა პორტ-არტურში 500 მილიონ მანეთად ჰღირსო.

რუსეთის სახელმწიფო კანტროლის ანგარიშიდან სჩანს, რომ შარშან, 1904 წელს, საგანგებო თანხიდან პორტ-არტურში საქალებო გიმნაზიისა და მოწყალების დათა სახლის ასაშენებლად 436 ათასი მანეთი დაუხარჯავთ და პორტ-არტურის წყლის მილის გასამართავად—333 ათასი მანეთი. („რ.“).

„რუსის ნაღმიან გემის „რეშიტელნი“-ს უფროსად ნამყოფი ლეიტენანტი როშჩაკოვსკი რუსეთში დაბრუნდა და 30 დეკემბერს პეტერბურგში სამხედრო ცოდნის საზოგადოებაში მოხსენება წაუკითხავს, თუ რა მდგომარეობაში იყო პორტ-არტური 28 ივლისამდე. როშჩაკოვსკი 28 ივლისს გავიდა პორტ-არტურიდან. — როშჩაკოვსკის, სხვათა შორის, უთქვამს: რუსის ჯარისა და ფლოტის უფროსებს თანხმობა არა ჰქონდათო. მაგალითად, როცა გენ. სტესელმა ადმ. ვიტგეფტს სთხოვა, ცინჩოუსთან დახმარება გაგვიწიეთ, გემები მოგვაშველეთო, განსვენებულმა მხოლოდ კანონირი გემი „ბობრი“ გაუგზავნა და ამ გემმა დიდი დახმარებაც გაუწია ხმელეთის ჯარს; ნავთსადგურსა და რეიდზე კიდევ რამდენიმე კანონირი გემი იდგა უსარგებლოდ; კაცი ძალა-უნებურად ჰკითხულობს, რატომ ადმირალმა ეს გემებიც არ გაგზავნაო. ხმელეთისა და ფლოტის აფიცრები ხომ ნამდვილად გადაკიდებულები იყვნენ ერთმანეთთან, მაგალითად, შემდეგი ამბები ხდებოდა ხოლმე: მეზღვაური აფიცერი, ჩვეულებრივის საზაფხულო თეთრის ტანისამოსით, ნაპირზე გადადის, გზაში ხმელეთის აფიცერი ჰხვდება და ხმა მაღლივ აგონებს „თეთრო კურდღელოო“ (ვითომ მეზღვაურები მშიშრები ხართო). კეთილგონიერი მეზღვაურები ისე იქცეოდნენ, თითქო არც-კი გაგვიგონია ეს შეურაცხყოფაო, მაგრამ მეტად ხშირად საქმე მუშტიკრივამდეც მიდიოდა ხოლმეო. („რ.“).

რუსეთის ახალი სესხი. რუსეთმა სამხედრო საჭიროებისათვის ახალი სესხი გამოსცა საზღვარ-გარედ. ამ სესხის თაობაზე ბერლინიდან სწერენ „რუსკია ვედომოსტი“-ს: ემისიონერთა ჯგუფმა სესხის პირობები გამოაცხადა და 24 დეკემბერს ბერლინის ბირჟაზე ხელის მოწერა გამართა. თუმცა უცხოელ კაპიტალისტებს საოცარი შეღავათი აქვთ მიცემული, თუმცა ემისიონერები ჩვეულებრივის ხერხით მოქმედებენ ბირჟის პრესაზე, თუმცა ემისიონერები ამ სესხიდან 17 მილიონ მანეთს იგებენ და ამიტომ საჭიან განცხადებებს ჰბეჭდავენ, გაზეთები მაინც მეტად თავდაჭერით უცქერიან ახალ საფინანსო ოპერაციას. ლიბერალურ გაზეთების უმეტესობა არა ჰმალავს, რომ ეს სესხი ჰკუაში არ მოსდით, გერმანიის თანხიდან რუსეთს სამხედრო საჭიროებისათვის ფულს როდი უნდა ვაძლევდეთო. ზოგი გაზეთი ეკონომიურ მიზეზით ასაბუთებს თავის აზრს, ზოგი პოლიტიკურით. ამ კრიტიკის წინააღმდეგ ყველაზე ცხარედ ბერლინური „ბარზენ კურიერ“-ი ამხედრდა. ეს გაზეთი სწერს. „გერმანიის საზოგადოების ზოგიერთ წრეში რუსეთის სესხში მონაწილეობის მიღება თითქო კაცთ-მოყვარეობის ღალატად მიაჩნიათ. ეს იდეალური მოსაზრებაა და კაპიტალისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კაპიტალი თავის საკუთარ პრინციპებით ხელმძღვანელობს, ყოველთვის იმასა ცდილობს, რომ სესხი უზრუნველ-ყოფილი იყოს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს. რუსეთის სესხი ყველა მხრივ სახეირო საქმეა: დიდი სახარბიელო სარგებელი აქვს და თავნიც არას დროს არ დაიკარგება,—რუსეთი მუდამ რიგიანად იხდიდა თავის ვალსა და, უეჭველია, ამას იქითაც რიგიანად გადაიხდის. რასაკვირველია, გერმანელ კაპიტალისტებისათვისაც სასარგებლო იქნებოდა, რომ რუსეთში ახალი უფლებრივი წეს-წყობილება დამყარდეს, რადგან ბიუჯეტისა და ფინანსების კანტროლი ამორჩეულ წარმომადგენელთა მიერ რუსეთის გარეშე სესხებსაც მეტ გარანტიას შესძენდა, მაგრამ რუსეთის შინაგანი რეფორმები თითონ რუსების საქმეა და არა ჩვენიო.“ საინტერესოა აგრეთვე გერმანელ კონსერვატორებისა და აგრარიების გაზეთის „კრეუც ცაიტუნგ“-ის აზრი რუსეთის სესხზე. წინად ეს გაზეთი მუდამ აფრთხილებდა ხალხს, გერმანიის კაპიტალი რუსეთის ხელში არ ჩააგდოთო. ეხლა-კი „კრეუც ცაიტუნგ“-ი სწერს: ჩვენ არც ვურჩევთ ვისმე, მაგრამ არც ვუშლით, რადგან, ცხადია, ამ სესხს მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან დადებულ ახალ სავაჭრო ხელ-შეკრულობასთან. ეჭვი არაა, გერმანიის მთავრობამაც ამ მიზეზით გაუწია დახმარება რუსეთის ახალ სესხსა, ამიტომ „კრეუც-ცაიტუნგ“-ი ამბობს, თუ რუსეთი ამ სესხის შემდეგ პურზე დიდ ბაჟებს დასთანხმდება, უნდა ვსთქვათ, რომ ეს სესხი დიდ ფასად როდი ჩაითვლებაო.

გულის ინციდენტის გარჩევა. პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: საერთაშორისო გამომძიებელ კომისიის სხდომამ გულის საქმეზე 28 დეკემბერს 2 საათს გასტანა და სულ კომისიის მოქმედების რიგის განხილვას მოუნდა. ინგლისის წარმომადგენელმა მოითხოვა, გამოძიების დროს მუდამ პირველად მე უნდა ვილაპარაკო ხოლმე, როგორც ბრალდების წარმომადგენელმაო. რუსეთის წარმომადგენლებმა უპასუხა, ამ საქმეში არც ბრალმდებელია, არც ბრალდებული, კომისია მხოლოდ საიდუმლოდ დამზადებულ და მომხდარ ინციდენტს იძიებსო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ინგლისის წარმომადგენლის თხოვნა შეიწყნარეს. პირველი საჯარო სხდომა მომავალ კვირას მოხდება. სხდომას იაპონიის ელჩიც დაესწრება; ელჩს რამდენისამე კაცის მოწვევის ნებაც მისცეს.

რუსეთის გემები ვლადივოსტოკში. ერთი უცხოელი აფიცერი სწერს „მორნინგ პოსტ“-ში: სარწმუნოდ გავიგე, რომ ვლადივოსტოკში მხოლოდ ერთ კრეისერს შეუძლიან ბრძოლაო. 10 ნაღმიან გემიდან ვლადივოსტოკში რუსებს მხოლოდ 2-და დარჩათო. („რ.“).

ახალი ამბავი

✦ როგორც შეკრებილ ცნობებიდან აღმოჩნდა, გორის მაზრაში რამდენიმე ოჯახი ყოფილა ისეთი, რომელთა **უფროსი შვილები ამ ჟამად ომში არიან** თურმე. ეს ოჯახები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან. ეხლა-ხან ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა გორის მაზრის უფროსს, გამოიკვლიოს რამდენად გაჭირვებულნი არიან ხსენებული ოჯახები. როგორც გუბერნატორის ბრძანებაშია ნათქვამი, იმათ დახმარება და შეწეობა უნდა აღმოუჩინოს ხაზინამ კი არა, ქალაქისა და სოფლის საზოგადოებებმა.

✦ ბატონ მ. ბოლქვაძეს კიევში დაუარსებია წიგნების გამომცემელი ფირმა „Югъ“ და შესდგომია რუსულ ენაზე **ქართველ მწერლების თხზულებათა ბეჭდვას**. თარგმანები დაიბეჭდება პროფ. ალ. ხახანაშვილის რედაქტორობით და გამოვა საერთო სათაურით „ქართული ლიტერატურა“. მთელი გამოცემა ეღირება 9 მანეთად და ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება ფულის შეტანა. პირველი წიგნი იანვარში დარიგდება. ბ-ნ ბოლქვაძეს კარგი საქმე განუზრახავს და ვუსურვებთ წარმატებას.

✦ როგორც აღნიშნული გვქონდა, გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულების არჩევნები** მოხდეს საპოლიციო უბნებში ცალ-ცალკე. ეხლა 20-მდე რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ რწმუნებულთა არჩევნები ერთს ან რამდენსამე საარჩევნო კრებაზე მოხდეს მოქალაქეთა მოურავის ხელმძღვანელობით და თავმჯდომარეობით. გუბერნატორმა არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და პოლიციის ბოქაულებს უბრძანა არჩევნები მოახდინონ დღეს, 8 იანვარს, დილის 10 საათიდან. სულ ასარჩევია 100 კაცი; პირველ უბანში—10, მეორეში—5, მესამეში—5, მეოთხეში—5. მეხუთეში—11, მეექვსეში—8, მეშვიდეში—22, მერვეში—13, მეცხრეში—7 და მეათე უბანში—8 კაცი.

✦ გრაფი შევალოვი, რომელიც უმაღლესის განკარგულებით იყო ტფილისში გამოგზავნილი **ხოლერის წინააღმდეგ** ზომების მისაღებად, გუშინ, 7 იანვარს, დაბრუნდა პეტერბურგს.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის საბჭომ დაადგინა ყოველ 5 წლის სამსახურისათვის 15 წლამდე **ჯამაგირები ემატებოდეთ** ქალაქის დაწესებულებათა მოხელეებს. ეხლა პოლიცმეისტერი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, შეტანილ იქმნებიან თუ არა ზოგიერთი პოლიციელები მოხელეთა იმ სიაში, რომელთაც ჯამაგირი უნდა მიემატოთო. გამგეობამ გუშინ აცნობა პოლიცმეისტერს, რომ ჯამაგირების მომატება დაიწყება 1910 წლიდანაო.

✦ დღეს, 8 იანვარს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება **ქართული სახალხო წარმოდგენა**. წარმოადგენენ „პარიზის ღარიბ-ღატაკებს“.

✦ როგორც გორიდან გვატყობინებენ, **ქალაქის მოურავის არჩევნები** დანიშნულია 20 იანვრისათვის.

✦ როგორც გორის მაზრიდან გვატყობინებენ, ოქონის სოფლის საზოგადოებაში **თოვლის ნამქერს უმსხვერპლია** 7 კაცი: დავით ალბორაშვილი, სანდრო იკოშვილი, ტურა თედეშვილი, ძმანი ვასილ და სიკო იკოშვილები, ბაბალე კოჭმაზაშვილი და ჯოჩი კოჭმაზაშვილი. ამათთან ერთად დაღუპულა დიდ-ძალი საქონელიც. ჯერაც ვერ უპოვნიათ ზოგის გვამი.

✦ პირაქეთ ხევსურეთიდან გვატყობინებენ: ახალ-წელიწად დღეს როშკის საზოგადოების სოფელ ქმოსტის მცხოვრებნი, ხევსურნი, 7 ქალი და 2 კაცი, ფეხით მომავალან „სტუმრობიდან“ სოფ. ღელედან თავიანთ სოფელში. გზაზე ხევსურებს წამოსწევიათ დიდი თოვლის **ზვავი და ყველანი ქვეშ მოუყოლებია**.

✦ დუშეთიდან გვატყობინებენ, რადგან ადგილობრივ **როინაშვილისეულ უფასო სახალხო სამკითხველოს** ქალაქის გამგეობამ მოუსპო ის ათი თუმანი, რომელსაც გამგეობა ყოველწლივ სუბსიდიად აძლევდა, სამკითხველომ ამ წლის პირველიდან მოსპო თვისი არსებობაო.

✦ ხრამის საწყლო ოლქის ინჟენერ-გიდრავლიკოსმა აცნობა გუბერნატორს, რადგან ჩემდამო რწმუნებულ ოლქში მირაბის ასარჩევად დანიშნულ კრებაზე საკმაო რიცხვი (სულ 10 კაცი) ამომრჩეველთა არ გამოცხადდა, გთხოვთ მთავრობამ თვითონ დანიშნოს მირაბიო.

✦ გორის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა პირველ იანვრამდის: 1. სოფ. ქარელში ქეიფის დროს არონ მაიშვილის სახლში შეცდომით ისაკ მაიშვილმა აზოტის სიმჟავე დალია და დაალევინა თავის ამხანაგს გიორგი პანოსიანცს, რის შემდეგაც ორივენი გარდაიცვალნენ; 2 ქ. გორში ვიღაც ბოროტ-მომქმედთ რამდენჯერმე ესროლეს თოფი ცხინვალის სამოსამართლო გამგეობის სადგომს და მიიმალნენ; 3. სოფ. სიგუეთში სიკო შაკილაძეს ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დაუჭრია თავში მიხეილ ქეტლიშვილი; 4. სოფ. ჯენისში მუკა და გიორგი კვეზელაშვილებმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრეს ნონე და ფუცა ვალიშვილი. 5 სოფ. ქვემოგომის აზნაური მიხეილ ელიოზიშვილი ნიკო თალიევმა მძიმედ დასჭრა. 6. სოფ. გუჯარეთში ორი ბოროტ-მომქმედი დაეცა ოქრომჭედელს დიმიტრი კოლოევს და 12,370 მანეთის ნივთი წაართვა.

✦ სად. ფოთი. 6 იანვარს, ღამის სამ საათსა და 30 წ., ლამფების შესანახ ბუდკასთან, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა დასჭრა რამდენჯერმე ხანჯლით დარაჯი ერასტი ჩხიკელი.

✦ სად. ხაშური. 3 იანვარს მე-174 ვერსზე ნახეს გასრესილი გვამი რკინის გზის ლიანდაგის ყარაულის ნიკოლენკოსი.

✦ სად. ძირულა. 6 იანვარს, ღამის 2 საათსა და 50 წ., საქონლის მატარებელი № 157 მე-135 ვერსზე გაწყდა და ორად მიიტანეს სადგურში.

✦ სად. სანდარი. 6 იანვარს, შუადღის 4 საათსა და 10 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი სადგურში შემოდიოდა, სამი დატვირთული ვაგონი ლიანდაგს გადასცდა და დაზიანდა.

✦ პოლიციის 1 ნაწილში, არტილერიის ქუჩაზედ, კონსტანტინე წერეთელს ორჯერ უსროლია რევოლვერი იარაღის სახელოსნოების გამგის გეგელესათვის, მაგრამ ვნება ვერ მიუყენებია, რადგან გეგელეს სქელი ბამბის პალტო სცმევია და ტყვიას ვერ გაუწევია. ბრალდებული წერეთელი იქვე დააპატიმრეს და გადასცეს გამომძიებელს.

✦ სოფ. კოსლიანთან (ბორჩ. მაზრა) ტყეში მიმავალი ურმით ისმაილ ვალი ოღლი მოუკლავთ თოფებით თავისამე სოფლელებს შამილ-იბრაჰიმ-ოღლის და მამედ-აბდულ-ოღლის.

სახელმწიფო ბიუჯეტი

რადაც მიზეზით, წელს, დეპეშათა სააგენტომ ტელეგრაფით არ გადმოგვცა ცნობები 1905 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა სწორედ წრევანდელი ბიუჯეტია მეტად საინტერესო, რადგან, ომის გამო, რუსეთს დიდ-ძალი არა ჩვეულებრივი ხარჯი მოუვიდა. ეხლა ბიუჯეტს ვპოულობთ „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში და რამდენსამე ცნობას ვუზიარებთ მკითხველთ.

თავდაპირველად ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ომისთვის საჭირო ხარჯი არ არის შეტანილი ბიუჯეტში, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, და შემდეგ იქნება გამოქვეყნებულიო სახელმწიფო კანტროლის მიერაო. რაც შეეხება წასრულ წლის ხარჯს, ბიუჯეტში აღნიშნულია მხოლოდ ერთი საზოგადო ციფრი: 621 მილიონი მანეთი გადაიდვა ომის საჭიროებისათვის 1904 წლის განმავლობაშიო; ამ ჯამში არ შედის ზოგიერთი ხარჯი, რომელიც ომისათვისვე გადაუდვიათ სხვა-და-სხვა უწყებათა ბიუჯეტიდან. ამრიგად, 1905 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა იმ წესითაა შედგენილი, როგორც მშვიდობიანობის დროს სდგება ხოლმე.

სახელმწიფო შემოსავალი ბიუჯეტით უდრის: ჩვეულებრივი—1.977.045.618 მანეთს; არა ჩვეულებრივი—2.750.000 მანათს, სულ 1.979.795.618 მან.; სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი ნაღდი (14.838.638 მ.) რომ მიუმატოთ, მივიღებთ სულ 1905 წლის შემოსავლად 1.994.634.256 მან.

სახელმწიფო გასავალი ნაანგარიშევია: ჩვეულებრივი—1.916.065.571 მან., არა ჩვეულებრივი—78.568.685 მან., სულ გასავალი უდრის 1.994.634.256 მან.

თუ ამ საზოგადო ციფირებს შევუდარებთ წინა წლების ხარჯთ-აღრიცხვას, დავინახავთ, რომ ომის გამო სახელმწიფოს შემოსავალი დაჰკლებია და ამიტომ სხვა-და-სხვა გასავალიც შეუმცირებია. 1904 წელს, 9 თვის განმავლობაში, ხაზინას 6,9 მილ. მანეთი ნაკლები შემოსვლია მაგარ სასმელების მონოპოლიისაგან, ვიდრე 1903 წელს და ვიდრე მოსალოდნელი იყო; შემცირებულია სადამოჟნო შემოსავალიც 7 მილიონ მანეთით და ნადელების გამოსასყიდ გადასახადებისაგანაც 9 მილიონით ნაკლები შემოსულა; სხვა შემოსავალ სტატიებიდან შესამჩნევად შემცირებულა კიდევ ტყის შემოსავალი. ამის მიხედვით ფინანსთა სამინისტროს შეუმცირებია მოსალოდნელი შემოსავალიც 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. ნაკლები შემოსავალი ნავარაუდევია: მაგარ სასმელებისა, სადამოჟნო, ტყისა, სხვა-და-სხვა არა პირდაპირისა. მაგრამ საფინანსო უწყებას იმედი აქვს, რომ 1905 წელს ხალხის კეთილდღეობა იმდენად კიდევ არ შეირყევა, რომ შემოსავალი წელს თვალ-საჩინოდ მოაკლდეს ხაზინას.

ყოველ შემთხვევისათვის სამინისტროს შეუმცირებია სხვა-და-სხვა გასავალიც. შემცირებულია, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს ხარჯი (წინა წლებთან შედარებით) 15 მილიონ მანეთით, გზათა სამინისტროს ხარჯი (ახალი გზების გასაყვანი) 75 მილიონ მანეთით და სხვა.

საზოგადოდ, ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ომის შედეგი ფინანსებისათვის ჯერ-ჯერობით იმაში გამოიხატება, რომ „შეჩერდა ჩვენის ბიუჯეტის თან-და-თანობითი ზრდა", ხოლო იმის სიმტკიცეზე ჯერ ცუდად ვერ უმოქმედნია ომის გადამეტებულ ხარჯებსაო.

მოგვყავს აქვე სრული ცხრილი 1905 წლის ბიუჯეტისა.

სახელმწიფო შემოსავალი

I

ჩვეულებრივი შემოსავალი

	მან.
პირდაპირი გადასახადები .	139.361,354
არა პირდაპირი „ .	399.838,500
ბაჟი . . . , . . .	105.324.374
მთავრობის რეგალიები . .	592.791.300
სახაზინო ქონება და თანხები	579.994,897
სახელმწიფო ქონებათა გაყიდვა	561.004
ნადელების გამოსასყიდი გადასახადები	76.408.100
სახელმწიფო ხაზინის ხარჯის ზღვევა	77.721.224
სხვა და სხვა შემოსავალი .	5.044.865
სულ ჩვეულებრივი შემოსავ.	1.977.045.618

II

საგანგებო წყაროები

სახელმწიფო ბანკში სამუდამოთ მიბარებული თანხა .	2.750.000
სახელმწიფო ხაზინის ნაღდი .	14.838.638
სულ შემოსავალი	1.994.634.256

სახელმწიფო გასავალი

I

ჩვეულებრივი ხარჯი:

	მან.
სახელმწიფო ვალის გადახდა .	303.018,190
უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი	3.418.035
უწმ. სინოდის უწყება . . .	28.952.790
საიმპერატორო სასახლის სამინისტრო	16.127.920
გარეშე საქმეთა სამინისტრო .	5.704.035
სამხედრო „	367.054.867
საზღვაო „	116,637.050
ფინანსთა „	341.640.895
მიწათ-მოქმედების „ .	47.332.933
შინაგან საქმეთა „ .	108.603.833
სახალხო განათლების „	43.068.486
გზათა „	448.299.104
სავაჭრო ნავოსნობისა და ნავთსადგურების მთავარი სამმართ.	12.346.668
იუსტიციის სამინისტრო . .	49.854.629
სახელმწიფო კანტროლი . .	9.173.326
ცხენების მოშენების მთავარი სამმართველო	1.832.850
სამხედრო სურსათის მოსალოდნელ გაძვირებისათვის .	3.000.000
სხვა-და-სხვა გასავალი, ბიუჯეტში აღუნუსხველი . .	10.000.000
სულ ჩვეულებრივი გასავალი	1.916.065.571

ჩვეულებრივი შემოსავალი აღემატება ჩვეულებრივ გასავალს 60.980.047 მანეთით

II

არაჩვეულებრივი გასავალი

ციმბირის რკინის გზისათვის .	11.780.000
სხვა რკინის გზებისათვის .	60,801.685
კერძო საზოგადოებათ რკინის გზების სამშენებლად . . .	5.987.000
სულ არაჩვეულებრივი გასავალი	78.568.685
სულ სახელმწიფო გასავალი	1.994.634.256

რუსეთის ქრონიკა

◆ 31 დეკემბრის მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე საბოლოოდ განხილულ იქნა საკითხი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. თათბირის დროს გამოირკვა, რომ ბეჭდვითი სიტყვის შემავიწროებელი ზომები მინისტრთა კომიტეტის მიერ იყო შექმნილი. დაადგინეს, გაუქმებულ იქმნას ყველა წესი და განკარგულებანი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელიც სახელმწიფო საბჭოს დაუკითხავად იყო შემოღებული და ეს დადგენილება ხელმწიფე იმპერატორს წარედგინოს დასამტკიცებლად. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონების სრული განხილვა კი მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც უნდა გააუქმოს პერიოდული პრესის წინდაწინი ცენზურა. როცა სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებს მინისტრთა კომიტეტის დადგენილებათ, დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქნება ყველა ამ ჟამად არსებული კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. მინისტრთა კომიტეტმა გადასწყვიტა, დააჩქაროს ამ საკითხის გადაწყვეტა, რადგან ამას მოითხოვს პრესსის დღევანდელი მდგომარეობა.

◆ „ნაში დნი"-ს სიტყვით, ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მთავრობას გადაუწყვეტია მოუმატოს აქციზი თუთუნსა და სპირტზე.

◆ 15 დეკემბერს, ნ. ჟ-ს სიტყვით, ჩერნიგოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მუხანოვს დეპეშა გაუგზავნეს ქ. სიმფეროპოლიდან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადეს იმის გამო, რომ კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მუხანოვი, სავსებით, გულწრფელად და გაბედულად გამოითქვა ის აზრი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს რუსეთი. დეპეშებზე, სხვათა შორის, ხელი მოაწერეს საგუბერნიო საერობო გამგეობის წევრებმა ობოლენსკიმ და მურზაევმა. დეპეშა გააჩერეს და გუბერნატორს გადასცეს, რომელმაც გამოუცხადა ობოლენსკისა და მურზაევს, დაუყოვნებლივ უნდა გადადგეთ სამსახურიდან იმის გამო, რომ თანაგრძნობა გამოუცხადეთ ხელმწიფის მიერ გაკიცხულ თავად-აზნაურთა წინამძღოლს მუხანოვსაო. ობოლენსკიმ და მურზაევმა უპასუხეს, თავს დამნაშავედ არ ვცნობთ და ჩვენის ნებით არ გადავდგებით სამსახურიდან, რადგან საზოგადოების მიერ ნდობა მოსილნი და არჩეულნი ვართ. თუ დამნაშავედ გვთვლით, შეგიძლიათ სამართალში მიგვცეთო. გუბერნატორმა თ-დ სვიატოპოლკ-მირსკის გაუგზავნა გადასაწყვეტად საქმე ობოლენსკისა და მურზაევის შესახებ.

◆ „რუს"-ის სიტყვით, მინისტრთა კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ უნდა გაუქმებულ იქნას ადმინისტრატიული სასჯელი პერიოდულ გამოცემათათვის, ე. ი. ცალკე ნომრების გაყიდვის აკრძალვაო.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ცნობებსა ჰკრეფენ იმის შესახებ, თუ სეთის რომელ დაბა-ქალაქებში აკრძალული აქვთ ებრაელთ ცხოვრება. სამინისტროს აზრად აქვს ამ მოკლე ხანში განიხილოს საკითხი ებრაელთა ბინადრობის შესახებ და ნება მისცეს ბინადრობის საზღვრებში სადაც სურთ, იქ იცხოვრონ. მაგალითად, ქ. კიევში ქალაქის ყველა უბანში ცხოვრების ნებას მისცემენ ებრაელებს. დღეს კი ისინი ამ მხრივ შევიწროებულნი არიან.

◆ „ნოვ"-ი იუწყება, ხმებია, ამ ჟამად ძლიერ ამცირებენ მოსკოვის გაძლიერებულ დაცვის განყოფილებასაო.

◆ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის საბჭომ დაადგინა, აცნობოს მიწათ-მოქმედების მინისტრს, თუ რა-და რა ზომები უნდა იქნას შემოღებული ინსტიტუტში მოსწავლე ახალგაზდობის დასამშვიდებლად. გარდა ამისა საბჭო შუამდგომლობს მინისტრთან, რათა გამოძიებულ იქნას 5 და 6 დეკემბერს მოსკოვის ტვერის ქუჩაზე და სტრასტნი მოედანზე მომხდარი ამბები.

◆ „რუსკ. ვედ."-ში გამოცხადებულია: მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ს. ი. ვიტტე სთხოვს გლეხს (ფსევდონიმია) განაგრძოს მასთან წერილების გზავნა, მოიწეროს თავისი სახელი, გვარი და ადრესი. დარწმუნებული იყოს, რომ ამის გამო არავითარი უსიამოვნება არ შეემთხვევა".

◆ ადესსიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივ საარტისტო-სალიტერატურო საზოგადოების სხდომები გრადონაჩალნიკის ბრძანებით დაიხურა, რადგან სხდომებზე ბლომად ესწრებოდა ხალხი და თანაგრძნობას უცხადებდა ორატორებს.

ადესსის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტებს ნება მისცეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაეჭირათ ეგზამენი, რადგან ბევრი ექიმი უნდა გაიგზავნოს ბრძოლის ველზე. სტუდენტებმა განაცხადეს საკმაოდ მომზადებულნი არა ვართ და ეგზამენის დაჭერაზე უარს ვამბობთო.

◆ „რუს. სლ."-ო დამატებით ცნობებს იუწყებიან სევასტოპოლს ფლოტის მატროსების შორის არეულობის შესახებ. სამხედრო მატროსები აფიცრების სახლებში შეცვივნულან და მიულეწ-მოულეწიათ იქაურობა. დამნაშავეთა დამცველად იქნებიან პეტერბურგის სახელ-განთქმული ვექილები —კუპერნიკი და პერგამენტი.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ გენერალის კოვალიოვის მიერ შეურაცხყოფილ ექიმის ზაბუსოვის საქმეს ხელმეორედ განიხილავენ და ზაბუსოვის დამცველად გამოვა პეტერბურგის სახელ-განთქმული ვექილი კარაბჩევსკი.

◆ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის ანგარიშში ნათქვამია, რომ მართმადიდებლობას საშიშარი და მძლავრი მტერები გაუჩნდა რუსეთში— მწვალებელნი, განსაკუთრებით მართლმადიდებლობისაგან განდგომილნი მრავალ შტუნდისტები და ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარნიო.

◆ სახელმწიფო კანტროლის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, რომ გაგრის ჰავით სამკურნალო სადგურზე დაუხარჯავთ 2,078,000 მანეთი სახელმწიფო ფული; შეერთებულ შტატებს უზღეს 325 მან.—გაჩერებულ გემების ზარალი. გაცემულ იქნა სესხად (არ არის ნათქვამი ვისა და რისთვის მისცეს ეს სესხი) 479 ათასი მან. იმ საგანზე, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უწყის, დაიხარჯა 2,427,337 მან.

◆ მთავრობას გადაუდვია დონის მხარეში საერობო დაწესებულებათა შემოღება.

◆ „ნოვ. ვრ."-ს სიტყვით, 30 დეკემბერს ნიჟნი-ნოვგოროდში სალიტერატურო საღამო გამართეს. დაიწყეს თუ არა კითხვა, პოლიცია შეერია საქმეში, დახურა კრება და დამსწრენი თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

პრესსა

გათავდა 1904 წელიწადი და რუსული გაზეთები ჩვეულებრივ წლიურ მიმოხილვებს სწერენ. როგორც არა ჩვეულებრივი იყო წარსული წელიწადი რუსეთისათვის, ისე ეს მიმოხილვანიც სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ეს წინად ყოფილა. „ნაშა ჟიზნ"-ი სწერს, რომ წარსული წელი ერთი უმძიმესთაგანიც იყო რუსეთისათვის და თან ძალიან ნათელიც საზოგადოებრივ ენერგიის გამოცხადებითა და ამაღლებით. მაგრამ სწორედ უკანასკნელ დღეების განმავლობაში რაღაც სიჩუმე—პორტ-არტურის დაცემის საშინელებამ თითქმის ყველა მოიცვაო.

> მოფიქრება, მოსაზრებაა საჭირო: რა იქნება, რა მოხდება და რა უნდა გაკეთდეს. თავის ქვეყნის ისეთი პატრიოტებიც კი, როგორც ა. სუვორინი და მისნი თვისნი არიან, თითქო ჩაფიქრდნენ. ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი უდგას თვალწინ საზოგადოებრივ შემეცნებას—მომენტი საერთაშორისო მდგომარეობისა და მომენტი შინაურ რეფორმისა.

პატრიოტები, როგორცა სჩანს, პირველ მომენტს ჩაჰფიქრებიან, მაგრამ საკითხს ერთობ მარტივადა და კატეგორიულად სწყვეტენ: „პორტ-არტური დანებდა მტერს მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მისი ძალა გამოილია, როცა უკანასკნელი ყუმბარა გაისროლეს. განა ეგრევე არ უნდა მოიქცეს რუსეთიც ასეთ საბედისწერო მომენტის დროს"? ამას თხოულობს პრესტიჟი დიდის სახელმწიფოსიო.

„ნაშა ჟიზნ"-ი სულ სხვა შეხედულებისაა:

ნუ თუ დიდის სახელმწიფოს პრესტიჟისათვის რუსეთმა უნდა იწვნიოს ისეთივე ბედი, როგორც ხვდა პორტ-არტურს?

მართალია, არის ისეთი პირობები, როცა ასეთი ქცევა აუცილებელია: მაგალითად, ავიღოთ ბურების ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ, ან საფრანგეთისა გამბეტას მეთაურობით პრუსიელების წინააღმდეგ, ან თვით რუსებისა 1812 წლის ომიანობის დროს. მაგრამ განა საჭიროა კიდევ განვიმეოროთ,

> რომ რუსეთს, როგორც მთელს, როგორც ერს არ მოელის მის ეროვნულ პრესტიჟის დამცირება, რომ ოფიციალურ რუსეთსა და რუსეთ-ერს შუა დიდი ხანია გაჩნდა უზარ-მაზარი უფსკრული.

„პატრიოტები", რასაკვირველია, არ დაგვეთანხმება, სამაგიეროთ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბატონ სუვორინის მეორე აზრსა,

> რომ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ ხალხის სახელით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც ომი ან ზავის ჩამოგდებაა. „თვითონ ხალხმა სთქვას, სურს თუ არა ომის განგრძობა?" სავსებით თანახმა ვართ ამ აზრისა. დიახ, ასეთ მძიმე დროს ხალხის ბედის გადაწყვეტა ხალხის დაუკითხავად საშინელ პასუხისგების მიღებაა თავის თავზე.

ის კია, რომ სუვორინს და მის თანამოაზრეთ სულ სხვანაირად ესმით ეს შეკითხვა ხალხისა: ტყუილა-კი არ მოჰკიდეს ხელი არხეოლოგიას და ამოაჩინეს ვასილჩიკოვისა და მისთანების სარეფორმო პროექტები; მათი განზრახვაა შეარიგონ შეურიგებელი, ხიდი გასდონ ძველ წესსა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა შორის; მაგრამ ეს ხიდი უვარგისია და მისი ამშენებლები პირველი ჩაცვივდებიან უფსკრულში. თვითონ ხალხმა არჩეულ წარმომადგენლების პირით უნდა გადასწყვიტოს:

> სთვლის თუ არა ერი ამ ომიანობას რუსეთის სახელის ღირსად, აუცილებელია თუ არა გაგრძელდეს ეს ომიანობა იმ მსხვერპლის მიუხედავად, რომელსაც იგი მოითხოვს; თანახმაა თუ არა ამ ომიანობის ინიციატორებისა. დიახ, თვითონ ხალხმა უნდა წამოაყენოს საკითხი მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ და შეიმუშაოს იმ ზავის პირობები, რომელიც რუსეთისათვის აუცილებელია.

წერილები

სოფ. წესი (რაჭა). სოფელ წესში ერთი მშვენიერი ბარაკონად წოდებული. ეს ეკკლესია აუშენებია რაჭის ერისთავს დიდ როსტომს. გარდა ნიკორწმინდის ეკკლესიისა, ბარაკონის გეგმის ეკკლესია რაჭაში მეორე არ მოიპოვება. რადგან ბარაკონი სოფლის განაპირას არის აშენებული, ამ ათის წლის წინად, სოფელმა განიზრახა შუაგულ სოფელში ერთი ახალი ეკლესიის აშენება. არჩეულ იქმნა ეკკლესიის ამშენებელი კომიტეტი, რომელშიაც მოჰყვა ექვსი კაცი. ამათ უნდა მოეკრიფათ ფული სოფლელთაგან და მიეცათ ეკკლესიის ამშენებელ ოსტატისათვის. მოიყვანეს ბერძენი და გაურიგდნენ ხუთას თუმნად. ფული განაწილებულ იქმნა თითეულ კომლზე შეძლების დაგვარად. რომელიც თავი გლეხი ან აზნაური იყო, შეხვდა გადასახდელად ასი მანეთი. საშუალო ცხოვრების გლეხს ექვსი თუმანი და ბოლო გლეხებს კიდევ ნაკლები. ფულის მოკრეფა გაანაწილეს ოთხ ნობათად. კარგად მახსოვს, ეკკლესიის ფულში კომიტეტმა ზოგ გლეხს ლორი წაართვა, ზოგს ხარი, ზოგს ღვინო და სხვა ქირნახული თუ ოჯახის ავეჯი. ესენი ყველა გაყიდეს და ფულად აქციეს. იყო კომიტეტსა და გლეხებს შორის ყოველ ფულის მოკრეფაზე ლანძღვა-გინება და ერთი აყალ-მაყალი. როგორც იქნა, ეკკლესია მოათავეს მესამე წელიწადს. დარჩა კიდევ სოფელში რამდენიმე ფული. ეკკლესიის მოსათავებელი ფული კი სხვა ეკკლესიიდან ისესხეს. კომიტეტის წევრებს ჰქონდათ წიგნი, რომელშიაც სწერდნენ სოფლიდან აღებულსა და დანახარჯ ფულს. ეკკლესია მოთავდა, მხოლოდ კომიტესისათვის სოფლიდან აღებულ და დახარჯულ ფულზე ანგარიში არავის მოუთხოვნია. განვლო მას შემდეგ ათმა წელიწადმა. ერთი წევრი კომიტეტისა უკვე გარდაიცვალა. მოსთხოვა სოფელმა კომიტეტს ანგარიში. შარშან კომიტეტის წევრებს ანგარიში გაუწია სოფლის მიერ ამორჩეულმა ორმა კაცმა. როგორც გამოირკვა, კომიტეტის წევრებს ფული დააკლდათ. თვითონ არც ერთი გროში არ გაუღიათ ეკკლესიის სასარგებლოდ. ამას გარდა ერთ წევრს აღმოაჩნდა ხარჯული 30 მანეთი, მეორეს—22 მან., მესამეს— 80 მან., მეოთხეს—100 მან. ხოლო აწ უკვე გარდაცვალებულს წევრს —230 მან. დარჩა ერთი წევრი, რომელსაც არაფერი აღმოსჩენია. ვინ იცის, იქნება მიცვალებულს გადააბრალა, რადგან მიცვალებულს არც „ჰო"-ს თქმა შეუძლიან და არც „არა"-სი. როდესაც წევრებს შეეკითხნენ. ეს ფული რა უყავითო, ისინი შეხტნენ, მოჰყვნენ ფიცს: არ გაგვიწყრეს სამას სამოცდა სამი წმინდა გიორგი, ეგ ფული ჩვენ არ შევვჭამოსო. ალბად, გლეხებზე დარჩა გადაუხდელიო. ზოგმა რომ ველარა გააწყო-რა, შემოიტანა ის ფული, რაც ანგარიშით დაედვა. ზოგი ამ ტაქტიკას დაადგა: უნდა დავიბაროთ მთელი სოფელი და ვისაც ჩვენი კვიტანცია არ აღმოაჩნდება, იმან უნდა ფული გადაიხადოსო. ათის წლის განმავლობაში არამც თუ პატარა ქაღადის ნაგლეჯი, მთელ თაბახზედაც რომ ყოფილიყოს დაწერილი კვიტანცია, ისიც კი დაეკარგებოდა ზოგიერთ გლეხს. მართლაც ბევრ გლეხს აღარ ჰქონდა კვიტანცია. ზოგ გლეხს დაჰკარგვია ორი ნობათის ფულის მიღების კვიტანცია და შერჩენია მხოლოდ მეოთხე ნობათისა. წევრებმა სთქვეს, იმას მარტო ერთი ნობათის ჰქონია მოცემული ფული, დანარჩენი უნდა გადაიხადოსო. გლეხი ფიცულობს, ღმერთმანი, გადახდილი მაქვს, მაგრამ კვიტანციები დამეკარგა. თქვე დალოცვილებო, საიდანშეიძლებოდა პირველად მეოთხე ნობათის ფული გამესტუმრებინა, პირველი, მეორე და მესამე ნობათის კი დამეტოვებინოს გადაუხდელიო. გლეხები ბევრს ფიცულობენ, მაგრამ გამგონი ვინ არის? ნათქვამია: დაბალო ღობევ გნახე და გადაგახტიო. ბევრ გლეხს გადაახდევინეს ხელ-ახლად გასტუმრებული ფული. ეხლა გაისმის ხალხში ჩივილი: ჩვენის ცოდვით ეკკლესია დაიქცევაო.

ვანო ჭიჭინაძე

სოფ. ჭყვიში (ლეჩხუმი). დადგა ზამთარი და ნახევარი საჟენი თოვლი დედამიწას გადაეფარა. დახიჭირა საშინელი ყინვები და სიცივე საცოდავად გვაკანკალებს ქყვიშელებს. მთელს სოფელში იშვიათად შეხვდებით გლეხს, რომელსაც ან შეშა ჰქონდეს ან იმის საშოვნელად რაიმე სახსარი. ერთადერთი მთა „ფაქუში", რომლიდანაც ქყვიშელები შეშით ვსარგებლობდით, უგან. თავადის ნ. ნ. მინგრელსკისა. რამდენისამე ხნის განმავლობაში ამაალის ზაფხულამდე იმისი კარი მძლავრის ხელით დშწული იყო და შიგ არავის აჭაჭანებდნენ. ამ წლის ზაფხულიდან კი თვით მინგრელსკის განკარგულებით, რომლის წინაშეც თ. ი. დ. გელოვანმა იშუამდგომლა, ამ მთის ერთის ნაწილიდან სარგებლობის ნება მოგვცეს ფასით. დაუდგათ აგენტებსაც სანეტარო დრო და მიჰყვეს ხელი ხალხის ყვლეფას. ერთი რომ დილას ფულს გადაახდევინებს და გლეხს შეშაზე გაისტუმრებს, მეორე საღამოს ჩამოვლისას ხელ-ახლად აძრობს ტყავს და ეუბნება: „პირველს რად მიეცი, ეს მთა მე მაბარიაო". ახლა მესამე სახლებში დაქუცქუცებს და შეშის წამომღებს სამართალში მიცემით ემუქრება. ამგვარ გარემოებაში ჩავარდნილი გლეხი ხშირად მიჰმართავს ხოლმე მეოთხეს, ამათ უფროს, და თვალ-ცრემლიანი ევედრება: „ბატონო, ღმერთი იწამეთ, ნუ გვატყავებთ და ერთხელ გადახდილს გადასახადს მეორედ ნუ გვახდევინებთ. ჩვენ არ ვიცით, რომელ თქვენგანის მოვალეობაა ჩვენგან ხვედრ ფულის შეკრება, თქვენს მეტყევეს ვენდეთ და თუ თქვენგან სანდო არ იყო, რაზე მიაწებეთ „ლესნიკი"-ს თუ „ლესნიჩის" ნიშანიო!! მაგრამ ასეთს სამართლიანს ხვეწნა-მუდარას განა როდისმე მოულბია აგენტების გული.

ამავე აგენტებმა რამდენისამე წლის წინად გლეხებს ნება მისცეს „ფაქუშიევე" სახნავ ყანების (ახოს) გაკეთებისა, იმ პირობით, რომ რაკი იგი ტყეს მოსპობდა და ყანას (ახოს) გააკეთებდა, ეს ყანა არ ჩამორთმევოდა თუ კი შესძლებდა პირველად დაწესებულ გადასახადის გადახდას. მაგრამ ეხლა მაშინდელ პირობას ვიღა დაგვიდევს! ხშირად საუკეთესო ადგილს ართმევენ ღარიბ გლეხებსა და მდიდრებს აძლევენ.

უმეტესი ნაწილი ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებელთა დროებით ვალდებულნი არიან უგ. თავ. მინგრელსკისა. იშვიათია გლეხმა სანადელო მიწები გამოისყიდოს და ვალდებულიდან მესაკუთრეთა რიცხვში გადავიდეს. ან-კი როგორ გამოისყიდოს, როდესაც მიწების გამომყიდველ გლეხისათვის არსებობს სამ-ნაირი გადასახადი: 1. „თავის სახსარი", 2. „სავექილო" და 3. „ქრთამი". ყველა ამაებს გლეხისაგან იღებენ. „თავის სახსარი" შეაქვთ მამულის პატრონის სასარგებლოდ, ხოლო ორის უკანასკნელის საიდუმლოებით მოცულ გადასახადებით სარგებლობენ სხვები. „სავექილოს" იღებენ სანადელო ადგილების გამოსყიდვაზე, ვითომ შუამდგომლობისათვის და „ქრთამს" კი ისეთ ადგილების მიყიდვისათვის, რომლებიც გლეხს ოქმში არ უწერია და რომელიც შეადგენს „სამთავროს" (Заповедное имѣніе).

ქიშტგაკრული.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

5 იანვარი

ბაქო, 5 იანვარი. გუშინ დასრულდა გაფიცვა სამრეწველოების და ქარხნის მუშებისა. არ დაუწყიათ მუშაობა მექანიკურ ქარხნებში, სადაც 3 ათას კაცამდე მუშაობდა. ვინც მუშაობას შეუდგა, კმაყოფილია ახალის პირობებით. გაფიცვამ 22 დღე გასტანა, ამ რიცხვში 19 სრული დღე. ზარალის გამორკვევა ჯერ-ჯერობით ძნელია; ცეცხლმა ძლიერ გააფუჭა 125 კოშკი თავის იარაღითა და სამრეწველო შენობებით. დიდძალი ნავთი დაიწვა. მექანიკურ ქარხნების პატრონები იმუქრებიან, იძულებულნი ვიქნებით ქარხნები დავხუროთო; მუშათა მოთხოვნილება რომ დავაკმაყოფილოთ, ბევრი ნავთის მომზადებაზე ხელი უნდა ავიღოთ, რადგან სხვა ქალაქების ქარხნებს მეტოქეობას ვერ გავუწევთო. გუშინ საბაჟო კომიტეტს თათბირი ჰქონდა გაფიცვით გამოწვეულ ფინანსიურ მდგომარეობისა და ნავთის მრეწველთათვის კრედიტის გაადვილების შესახებ.

ესსენი, 5 იანვარი. სულ 200 ათასი მუშაა გაფიცული. ჰელზენკირხენის მიდამოებში 5 ათასი მუშა არ გამოცხადდა მღვიმე-მადაროებში. ნახშირის სიმცირე მეტად მძიმედ დაეტყო მრეწველობას. ნახშირის მრეწველთა სინდიკატი აცხადებს, დროზე ვერ ჩავაბარებთ დანაკვეთ ნახშირსაო. გუშინ ოთხი საათის განმავლობაში თათბირი ჰქონდათ მთავრობის წარმომადგენელთა და მუშების დელეგატებს. დღეს დაიწყო მოლაპარაკება ამქრების გამგეობებთან. ვესტფალიაში დიდძალი ნახშირი გაიგზავნა.

ვენა, 5 იანვარი. ხმებია, ჰკუჩი ამ მოკლე ხანში კაბინეტის რეორგანიზაციას შეუდგება. სამ მინისტრს, მათ შორის საერო განათლების მინისტრსაც, სამსახურიდან გაადგაყენებენ.

6 იანვარი,

ხარკოვი, 5 იანვარი. დონეცის მიდამოებში ძლიერ მცირეა ვაგონების რიცხვი. დეკემბერში მატარებლებმა წინა თვესთან შედარებით $^1/_5$-ით ნაკლები ნახშირი წაიღეს, იანვარში-კი მხოლოდ იმის ნახევარი გაიტანეს, რაც წინად გაჰქონდათ. ვაგონების სიმცირის გამო ხარკოვის შთის მადნეულობის გამტანმა საზოგადოებამ შეამცირა საქონლის გზავნა, რითაც ყველაზე უფრო კერძო მომხმარებელნი დაზარალდნენ და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სამხრეთ რუსეთის მღვიმე-მადაროების მრეწველთა კრებამ საჭირო შუამდგომლობა აღძრა.

ესსენი, 5 იანვარი. მთავრობის კომისარებს დღეს მოლაპარაკება ჰქონდათ მღვიმე-მადაროების პატრონებთან. მოლაპარაკების შედეგს არ აცხადებენ. მადაროების გამგეობებმა წარმომადგენლები აირჩიეს. ხვალ საზოგადო თათბირი იქნება მუშებთან. ხვალ რურის ნახშირის მადნებში გაჭრობის მინისტრი მოვა. მუშები

დიდის ნდობით ეკიდებიან მთავრობის კომისარებს.

კოპენჰაგენი, 5 იანვარი. ხმებია, შვეციის მეფეს სხეულის ერთ ნაწილზე დამბლა დაეცათ.

ვენა, 5 იანვარი. პორტა აუწყებს დიდ სახელმწიფოებს, ბოლგარიის კომიტეტებს განზრახვა აქვთ გაზაფხულზე ისევ შეუდგნენ მოქმედებასო.

პეტერბურგი. „რუს“-ს ისევ მისცეს ნება ცალკე ნომრების გაყიდვისა.

ბერლინი, 5 იანვარი. ჰფიქრობენ, რომ სავაჭრო ხელშეკრულობანი მხოლოდ 1906 წელს შევლენ ძალაში. ერთის წლის ვადა იმიტომაა დანიშნული, რომ დაინტერესებულ პირთ ზარალი არ მოუვიდეთ ხელ-შეკრულობის მოულოდნელად შეცვლის დროს.

კრონშტადტი. მამა იოანე კრონშტადტელის ჯანმრთელობა წინანდელ მდგომარეობაშია.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობის ხმოსანთა კომისია წინადადებას აძლევს კრებას, ვიშუამდგომლოთ, რომ პირველ დაწყებით სასწავლებელთა-დებულება, 1872 წელს გამოცემული, შეიცვალოს და საზოგადოებრივ დაწესებულებათ უფლება მიეცეთ არა თუ მარტო სასწავლებელთა სამეურნეო ნაწილს, პედაგოგიურ ნაწილსაც ზედამხედველობა გაუწიონ; ვიშუამდგომლოთ აგრეთვე, რომ მოისპოს ყველა ის დაბრკოლება, რაც ხელს უშლის სასკოლო და სკოლის გარეთ სწავლის განვითარებას.

პარიზი. ყველაზე მეტი შანსი რუვიეს სამინისტროს აქვს; გარეშე საქმეთა მინისტრად ან დელკასე იქნება, ან ეტიენი.

ლონდონი. დღეს დილით მინისტრებმა ლუბეს თხოვნა ჩააბარეს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. ლუბემ სადამოთი მიიღო დეპუტატთა პალატის და სენატის პრეზიდენტები და პოლიტიკურ მდგომარეობაზე ეთათბირათ.

ბერლინი, 6 იანვარი. ვაჭრობის მინისტრმა მელერმა საუბრის დროს უთხრა ერთს კორესპონდენტს, რურის რაიონში არ წავალთ. რამდენიმე ახალი კომისარი გავგზავნე და დეპეშა მივიღე, რომ ამ ჟამად 45 ათასი კაცი სამუშაოდ მოვიდაო; 200 ათასზე მეტი კაცი-კი გაფიცვას განაგრძობსო.

ბუდაპეშტი. ხმა დადის, არჩევნის გამო, მთავრობამ სათადარიგო ჯარის-კაცები მოიწვია სამსახურში, რადგან ჰფიქრობენ, რომ ჯარი არ იკმარებს წესიერების დასაცველადაო.

ესსენი. ამქრის მმართველობანი ჯერ უარს ამბობენ და მუშებთან მოლაპარაკებას არ იწყებენ.

ვენა. ზიგფრიდ ვაგნერის ოპერა „კობოლდი“ ძლიერ მოეწონა ხალხსა.

პეტერბურგი. ოფიციალური. 6 იანვარს უმაღლესის დასწრებით ნევაზე წყალკურთხევა იყო. ჩვეულებისამებრ ზარბაზნები ისროლეს და ამ დროს ერთი უბედური შემთხვევა მოხდა: ბირჟის ახლოს ბატარეის ერთი ზარბაზანი კარტეჩით გატენილი აღმოჩნდა და როცა ისროლეს, კარტეჩი იორდანეს ახლოს დაგებულს ფიცრულს, ნევას ნაპირასა და ხელმწიფის ზამთრის სასახლის ფანჯრებს მოხვდა და ოთხი ფანჯარა ჩაამტვრია. დაჭრილია პეტერბურგის საქალაქო პოლიციის ერთი პოლიციელი. როგორც ჯერ-ჯერობით შეიტყეს, ამ ერთი კაცის გარდა სხვა არავინ დაშავებულა. გამოძიება სწარმოებს.

ურალსკი. შავმა ჭირმა იმსხვერპლა გურიევის მაზრაში 420 კაცი და, როგორც სჩანს, საბოლოოდ მოისპო. სენი ნოემბრის დამდეგს გაჩნდა, მაგრამ ადგილობრივმა ექიმებმა იგი შავ ჭირად არ იცნეს და მხოლოდ როცა შავი ჭირი ყირგიზთა სოფლებიდან რუსების სოფლებში გადავიდა, მაშინ აღიარეს ექიმებმა საშიშარ სენად. 8 დეკემბერს იამანხალინისა და სარაიჩიკის სტანიცებში ოლქის ყველა ექიმს მოუყარეს თავი და სადეზინფექციო მასალა მოიტანეს. 9 დეკემბერს მოვიდა ვიცე-გუბერნატორი შილოვსკი და ბაქტერიოლოგების ვილერისა და კოსტანსკის ხელმძღვანელობით დაიწყო მედგარი ბრძოლა შავ ჭირთან, რომელიც უკვე 300 ოთხკუთხი ვერსის მანძილზე გავრცელდა. 14 და 19 დეკემბერს დღეში ორმოცი კაცი კვდებოდა. ამის შემდეგ სნეულება ძლიერ შესუსტდა. ათი დღის შემდეგ შავი ჭირისაგან აღარავინ მომკვდარა. ამ მოკლე ხანში ამ სენთან ნაყოფიერი ბრძოლა ფრიად საინტერესოა მეცნიერთათვის და ადმინისტრატიულ საკითხების გამოსარკვევად, თუ რა-და-რა ზომები იხმარეს შავ-ჭირთან საბრძოლველად. ექიმები ამტკიცებენ, ადგილობრივი მცხოვრებლები ძლიერ გონიერად ეკიდებიან საქმესაო, იმათ დროებით შესწყვიტეს წირვა ეკლესიებში, არ იკრიბებოდნენ ერთად, ძლიერ შეუწყეს ხელი ექიმებს შავი ჭირის შესახებ დაბეჭდილ ფურცლების გავრცელებაში და ცალკე უბნებში მოათავსეს ავადმყოფნი. ამ ჟამად გააუქმეს სარაიჩიკზე და იამანხალინზე შემორტყმული დარაჯების ალყა. დარაჯები არტყია მხოლოდ ყირგიზთა სოფლებს კოს-ჩაგილს და აკულას ასტრახანის გუბერნიაში. დღეს იქ იმყოფება გენერალი სტავროვსკი და სამკურნალო ინსპექტორის თანაშემწე მალინოვსკი. სენს ადგილობრივი ექიმები ებრძოდნენ და ერთობ ეკონომიურად მიჰყავდათ საქმე.

ნოვოჩერკასკი. თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რათა მალე იქნას შემოღებული დონის მხარეში ერობა.

პეტერბურგი, 6 იანვარი. უმაღლესის დასწრებით წყალ-კურთხევის პარადი მოხდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 იანვარი

ტოკიო. 6 იანვარი. ინგლისის გემი „ოსკლეი“, 4 ნოემბერს კარდიფიდან გამოსული 5900 ტონა ნახშირით, რომელიც ვლადივოსტოკში მიჰქონდა, იაპონელებმა დაიჭირეს იანვრის ხუთს ცზუსიმას სრუტეში და სასებოში მოიყვანეს ვით ნადავლი.

ლონდონი, 6 იანვარი. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იწერება, რომ შეერთებულ შტატების მთავრობისა და ევროპის სახელმწიფოთა შორის კამათი გამოიწვია იმ კითხვამ, თუ როგორ დაიცვან ჩინეთის ნეიტრალიტეტი და ჩინეთის მიწა-წყალი ვისიმე შემოსევიდან. შეერთებულ შტატების მთავრობა ცოტი არ იყოს შიშობს, რადგან ხმა გავრცელდა, რომ ბალტიის ესკადრას სურვილი აქვს დაიჭიროს ჩინეთის ნავთსადგურიო. კორესპონდენტი აცხადებს, რომ ჩინეთის უფლების დარღვევა არც ერთს სახელმწიფოს არა სურს და შეთანხმდენ კიდეც ამ საქმეშიო.

პარიზი. გულის უბედურ შემთხვევის გამო კომისიის კრებამ ორმოც წამს გასტანა. ხალხი ას კაცამდე დაესწრო. ინტერესი დაცხრა. დარბაზში სამჯერ ამდენი ხალხი დაეტეოდა. პირველად ინგლისის აგენტმა წაიკითხა, მერე ილაპარაკა ნეკლიუდოვმა, რომელიც იმ აზრზე სდგას, რომ იაპონელების ნაღმიანი გემები უეჭველად იყვნენო და ამით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. მერე დააყენეს ის კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება რუსის გემებს ზარბაზნის სროლისა თუ არა? ინგლისის მეზღვაურთ გამოაცხადეს, რომ ყველა მათი ადმირალი ვინც უნდა ყოფილიყო უსათუოდ აგრეთვე მოიქცეოდაო. თუ აღმოჩნდა, რომ ნაღმიანი გემები მართლა იყვნენ, მაშინ ეს შემთხვევა უეჭველად გავლენას იქონიებს იაპონელთა სესხზე, რომლის გამოშვებასაც ლონდონის ფინანსისტები აპირებენ. როჟესტვენსკი არავითარი ეჭვი არ არის რო ჩინელთა ნავთ-სადგურით ისარგებლებს. საფრანგეთის მთავრობის სფერაში ის აზრია, რომ შეერთებულ შტატების ინიციატივა და მის მიერ ჩინეთის ნეიტრალიტეტის გამო დაყენებულ კითხვას ის შედეგი ექნებაო ნეიტრალიტეტს უზრუნველ ჰყოფენ და ამით აიცილებენ თავიდან, რათა რუს-იაპონიის ომი მთელ ევროპის ომად არ გადაიქცეს.

ტოკიო. ამბობენ, გენერალი იუში უთუოთ პორტ-არტურის გუბერნატორად დაინიშნებაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

7 იანვარი

პარიზი, 6 იანვარი („ჰავასი“) გულის ინციდენტის გამომძიებელი კომისია. ინგლისის მთავრობის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, რუსეთის წარმომადგენელი შეუდგა რუსეთის მთავრობის მოხსენების წაკითხვას, სადაც მოყვანილია ინციდენტის გარემოებანი, რუსეთის წარმოდგენით. მოხსენება თავდება შემდეგის სიტყვებით: მივიღეთ რა მხედველობაში შეკრებილი ფაქტები, რუსის აფიცრების ნაჩვენები, რომელნიც მოწმენი იყვნენ თვით შემთხვევისა, აგრეთვე ჩვენება სხვა პირთა, საბუთი გვაქვს დავამტკიცოთ, რომ როჟესტვენსკის უფლება ჰქონდა და უეჭველად მოვალეც იყო მოქცეულიყო სწორედ ისე როგორც მოიქცა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო იყო ვნება მიეყენებინათ ნეიტრალ და უდანაშაულო მეთევზეთათვის, მაინც როჟესტვენსკის უნდა ზომები მიეღო, რომ გაენადგურებინა ქურდული, შპიონური თავდასხმა ესკადრაზე. ამის შემდეგ ადმირალმა ფურნიემ დახურა კრება და გამოაცხადა, რომ შემდეგი კრება შესდგება, მგონი, სამშაბათსაო.

ხუანშანი. 6 იანვარი, 4 იანვარს წინა პოზიციებზე ჩვეულებრივი თოფი სროლა იყო ჩვენს და მტრის შუა. იაპონელები გვიახლოვდებოდნენ და ჩვენს საფრებს ესროდნენ. ამ დღეს იაპონელები ესროდნენ ჩვენს ორ ქვევითა პოლკს, რომელნიც წინა პოზიციებზე მორიგ ჯარს ცვლიდნენ, მაგრამ იაპონელთა არტილერია წამსვე ჩაჩუმდა როცა ჩვენმა ზარბაზნებმა დაიგრიალეს.

პარიზი. 6 იანვარი, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ზოგიერთა ადგილმა ინგლისის მოხსენებისამ, რომელიც გამომძიებელთა კომისიას წარუდგინეს, სადაც ლიტონი სიტყვით ამტკიცებენ რომ არამთუ იმ ადგილს სადაც უბედურება მოხდა, მთელ ჩრდილოეთის ზღვაში იაპონელთა ნავები არსად ყოფილაო. რუსების მოხსენება ბეჯითად ამტკიცებს, რომ ზღვაში იყვნენ ნაღმოსანი გემები, ამიტომაც რუსების ესკადრას უეჭველად უნდა დაეწყო სროლა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა თავის გემებისთვისაც მიერტყად. რუსები უარს არა ჰყოფენ, ინგლისელთა მოხსენებას, რომ მეთევზეთა ნავებზე ცხადლივ იყო ზედწარწერა და განათებულიც იყვნენო.

შანხაი, 6 იანვარი. სტესელი და მასთან 600 აფიცრამდე მოვიდნენ დღეს მანდილოსნებთან ერთად და მხლებლებით „აუსტრალიონ“ პარახოდით. მგზავრებთა ნახევარმა განაგრძო გზა, დანარჩენები აქ დარჩნენ მეორე პარახოდის გასვლამდე.

ლონდონი. 6 იანვარი („რეიტერი“). ვაშინგტონიდან ცნობები იყო მიღებული, რომ ზოგიერთა სახელმწიფოებს თათბირი ჰქონდათ, როცა ზავი ჩამოვარდება ჩვენც ჩვენი ადგილები გავადიდოთ ჩინეთშიო. ახლა-კი ამტკიცებენ, რომ ომი რო გათავდება ჩინეთის საზღვრები უნდა შესწორდესო. ბოლოს სახელმწიფოებმა ის აზრი გამოთქვეს, რო ჩინეთში არც ერთს მიწის ნაჭერს ვერავინ მიითვისებსო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 იანვარი

პუდეჟი. 6 იანვარი. არა ჩვეულებრივ კრებაზე ერობამ დაადგინა: განვლილ წლის მოუსავლობის გამო, დაეხმარონ ხალხს და წელს გაზაფხულზე მთელ მაზრაში გზის გასაკეთებლად მუშები გამოიწვიონ. ამ საგნისთვის გადასდეს ფული 84.072 მანეთი.

პოტსდამი. მემკვიდრე პრინცი სეირნობის დროს ეკიპაჟმა გადმოისროლა, ჯერ ეგონად მძიმედ დაიჭრაო, მაგრამ აღმოჩნდა რა უვნებელი დარჩა.

ბელგრადი კრიზისი გამწვავდა. მეფესთან დაახლოვებულნი პირნი დიდი ხანია ებრძვიან მინისტრებს. სესხის აღების და შეიარაღების გამოცვლის კითხვამ ორი მიმართულება დაჰბადა. რომელნიც მეფის მკვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ და ახლა სხვა-და-სხვა საქმეში არიან, ამათში ზოგს სურს სესხი ვენაში აიღონ და სამხედრო იარაღიც იქ შეუკვეთონ. სამხედრო მინისტრიც ამათი მომხრეა, პაშიჩი წინაღმდეგი. დღეს ელიან, რომ მთელი კაბინეტი სამსახურიდან გამოვაო.

ხარკოვი, ნახშირის გადაზიდვა თანდათანძნელდება. საჭიროა ენერგიული ზომები, თორემ ქალაქები უქვანახშიროდ დარჩებიან, ეკატერინოსლავშიაც კი ერთმა ზავოდმა მუშაობა გააჩერა უნახშირობისა გამო.

ლონდონი. (საკუთ. კორ). აქ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მეტადრე მრეწველთა სფერაში, იმ ამბავმა რომ ბაქოს მუშების შემდეგ პეტერბურგის მუშებმაც პირი შეკრეს და მუშაობაზე ხელი აიღეს.

მეფეს ედუარდს სასიამოვნოდ დარჩა, როცა გაიგო რომ პეტერბურგში წყალკურთხევის დროს მომხდარ შემთხვევას სერიოზული მნიშვნელობა არა ჰქონია. მარკიზი ბატი დაინიშნა ინდოეთის საქმეთა მდივნის თანაშემწეთ.

სოფია. ნასტუდენტარმა რუსებმა დაადგინეს მილოცვების და ტატიანას დღესასწაულის მაგიერ ფული შეკრიბონ ომში დახოცილთა ქვრივობლების სასარგებლოდ. ამობენ რომ თავადი ფერდინანდი ბერლინს წავა და იმპერატორს ვილჰელმს აფიციალურად ინახულებსო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 იანვარი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	93,95
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ღერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	89¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	414
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	327
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	269
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	88½
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	83
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	87¾
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	238½

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადმევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქირავდება ორი თვალი მაღაზია თავის ოთახით და წყლით. მუხრანიანთ ქუჩა სახლი რომანიშვილისა № 19. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (2—2)

ტფილისის სამარხ კასი
გამგეობას პატივი აქვს აუწყოს თავის წ
რომ დეკემბერში **გარდაიცვალა** ამავე კასის
წევრი: 1) **მიხეილ სიმონის-ძე ხოჯალა**
2) **ექვთიმე ბეჟანის ძე დავითაია**, რის
კასის ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს გამგ
კასაში ორი კვირის განმავლობაში, **თითოე**
მ. 25 კ. სულ 2 მ. 50 კაპ.
ვინც ორი კვირის განმავლობაში არ შემო
ზემო ხსენებულს ფულს 2 მ. 50 კ., მას გადა
ჯარიმად ზედ მეტი კიდევ ერთი მანეთი.
ფული უნდა წარადგინონ გამგეობის წევრ ს
მერკვილაძესთან (ქაშვეთის ქუჩა, წიგნის მ
„ცოდნა“). (3—

Сѣдель
спеціял
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. с
მიხაილოვის პრ., სახლი ა
ვისა, № 92, სახაზინო ს
ნიეს ახლოს. (წ·—176-

გამოვიდა გასასყიდად ახალი წიგნი
„ბრძოლა ჩვენს პრესსასა დ
საზოგადოებაში
შეპარულ შეცდომა—ნაკლულევანებებთან“,
თხზ. ტ. ართმელაძისა, საგულისხმო წ
რილებით, მაგ: ჩვენებური ჟურნალ-გაზ
თობა და მათი სიყალბე; რა საშუალე
ხმარობენ ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები ს
მართლის გამოსარკვევად? რა არის კრიტ
კა და როგორ უნდა მოქმედებდეს იგი? ნ
ჟორდანიას წერილი ჩვენებური პრესსის შ
სახებ და ზ. ახალ-მოსულის კრიტიკა;
სიტყვა აკაკიმ ქუთაისის თ.-აზნ. კრებაზე
რანაირად გადაამახინჯა იგი ბ-ნმა მოსაუბ
რემ და სხვანი.,. 160 გვ. ფასი გაგზავნ
35 კაპ. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობ
30%. ადრესი: **Въ тифлисъ, редакці**
„могзаури“. (5—409—3

1905 წელს
„მოგზაურ
გამოვა ყოველ-კვირეულ გაზეთად,
ლის სრულის პროგრამით და მიმართუ
ბით. ფასი იგივე 5 მანეთია წელიწ
რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნ
ნაწილებათაც შემოიტანოს: 3 მანეთი ხ
მოწერის დროს და დანარჩენი 2 მან
პირველ მაისისათვის. პირველი ნომერი
მოვა კვირას, 16 იანვარს. ტფილისში
ლის მოწერა მიიღება „მოგზაური“-ს
დაქციაში (Тумановскій переулокъ, №
და წიგნების მაღაზიებში. ქალაქ გა
მცხოვრებლებმა წერილები და ფული
გამოგზავნონ ფოსტით ამ ადრესით:
лисъ, редакція «Могзаури».
რედაქტორ-გამომცემელი **ივანე პ.**
(5—3). **როსტომაშვილ**

აფთიაქის მაღაზია ყვირილა
ა. ლ. მაღრაძისა.
1904 წლის პირველი დეკემბრიდან დაბა ყ
ლაში გაიხსნა **აფთიაქის მაღაზია**, სადაც
დება ყოველგვარი წამლები და კოსმეტიურ
ქონელი.
ადრესი: დაბა ყვირილა. აფთიაქის მაღ
ანთიმოზ ლუკასძე მაღრაძეს.
Адресъ: Въ Квирилы. Аптекарскiй
газинъ Антимосу Лукичу Маградзе.
(10—413—

თამბაქოს ქარხანა სავაჭრო სახლის
ნ. ი. ბოზარჯიანცისა და შ-სა.
(ქარხანა არსებობს 1858 წლიდან)
ჩვენის მუშტარის **გასაფრთხილებლად** ვაცხადებთ, რომ თამბაქოს ქარხანამ სააქციონერო საზოგადოების
„მირ“-ისა, მ. პ. საფაროვის მემკვიდრეებისა
და სხვათა დაამზადეს პაპიროსები. ეს პაპიროსები ისეთსავე ყუთებში აწყვია, ისეთივე წარწერა აქვს ეტიკეტებზე, აგრეთვე ფორმა კოლოფებისა და ქაღალდის ფერი, როგორსაც ჩვეულებრივ ხმარობს ჩვენი ფირმა, რომლის ნაწარმოებიც მეტად გავრცელდა.
№ 8. ფასი 10 ცალი 5 კ.
„სიმპატია“ № 15 ფასი 10 ც. 5 კ.
„ნაროდნია“ № 7 ფასი 10 ც. 3 კ.
„ეკონომია“ № 16 ფასი 10 ც. 3 კ.
ამის გამო ვთხოვთ მყიდველთ ამ პაპიროსების მოთხოვნის დროს ყურადღება მიაქციონ.
მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეტიკეტს და საქარხნო ნიშანს. და ყოველ კოლოფზე მოთავსებულ წარწერას.
ნ. ი. ბოზარჯიანცი შ-ით.
მუშტრის მოსატყუებლად „მირის“ ქარხანა თავის ნაწარმოებზე იმავე №№, როგორსაც ჩვენი, ასეამს ისეთ ნიშანს, რომელიც ძნელი გასარჩევია ჩვენის სავაჭრო სახლის ნიშნისაგან. სამართალში მივცემთ სიყალბის ჩამდენთ. (10—7)

Доз. ценз. Тифлисъ, 7 января 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.